

დამატებითი საკითხები, რომლებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლებისას და შეფასებისას

საგანი	საკითხები
<p style="writing-mode: vertical-rl; transform: rotate(180deg);">STS02 სტანდარტული სცენარის შესაბამისად განხორციელებული BVLOS ექსპლუატაცია</p>	<p>ა) გაფრენისწინა ქმედებები — საექსპლუატაციო დაგეგმვა, საჰაერო სივრცის შეფასება და საექსპლუატაციო ადგილის რისკების შეფასება. უნდა იქნეს გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:</p> <p>ა.ა) საჰაერო სივრცეზე დაკვირვება; და</p> <p>ა.ბ) ექსპლუატაცია ვიზუალური დამკვირვებლების გამოყენებით: ვიზუალური დამკვირვებლების ადეკვატური განლაგება და კონფლიქტის განმუხტვის სქემა, რომელიც მოიცავს ფრაზეოლოგიას, კოორდინაციას და კომუნიკაციის საშუალებებს; და</p> <p>ბ) შემდეგი საფრენოსნო პროცედურები, უნდა შესრულდეს, როგორც (VLOS)-ში ისე (BVLOS)-ში:</p> <p>შესაბამისი სტანდარტული სცენარის მიხედვით სხვადასხვა სიმაღლეებზე და მანძილებზე ზუსტი და კონტროლირებადი ფრენის მანევრების შესრულება (მათ შორის, ხელის მართვის/გლობალური სანავიგაციო თანამგზავრული სისტემის (GNSS) დამხმარე რეჟიმის გამოყენების ან ეკვივალენტურის გარეშე, როცა აღჭურვილია) უნდა შესრულდეს სულ ცოტა შემდეგი მანევრები:</p> <p>ბ.ა) პოზიციაზე დაკიდება (მხოლოდ შვეულმფრენის შემთხვევაში);</p> <p>ბ.ბ) დაკიდების მდგომარეობიდან წინ ფრენის რეჟიმში გადასვლა (მხოლოდ შვეულმფრენის შემთხვევაში);</p> <p>ბ.გ) ჰორიზონტალური ფრენისას სიმაღლის მომატება და დაშვება;</p> <p>ბ.დ) ჰორიზონტალური ფრენისას მობრუნება;</p> <p>ბ.ე) ჰორიზონტალური ფრენისას სიჩქარის კონტროლი;</p> <p>ბ.ვ) ძრავის/ამძრავი სისტემის მტყუნების შემდეგ განსახორციელებელი ქმედებები;</p> <p>ბ.ზ) შეჯახებიდან თავის არიდების ქმედებები;</p>

STS02			
საექსპლუატაციო დეკლარაცია			
<p>მონაცემების დაცვა: წინამდებარე დეკლარაციაში მოცემული პერსონალური მონაცემები მუშავდება სააგენტოს მიერ „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.</p>			
უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატანტის რეგისტრაციის ნომერი			
უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატანტის დასახელება			
<p>მე ვაცხადებ, რომ:</p> <ul style="list-style-type: none"> - ვასრულებ დაუსახლებელ ადგილას, კონტროლირებადი მიწისზედა არის თავზე, ვიზუალური დამკვირვებლით პირდაპირი ხედვის არის მიღმა სტანდარტული სცენარი STS02 ყველა შესაბამის მოთხოვნას. - შესაბამისი სადაზღვევო პოლისით განხორციელდება დეკლარაციით შესრულებული ყველა ექსპლუატაცია 			
თარიღი		ხელმოწერა ვერიფიკაცია	ან სხვა

სტანდარტული სცენარისთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლების და შეფასების მიზნით ექსპლუატაციის სახელმძღვანელოში განსაზღვრული უნდა იყოს შემდეგი საკითხები:

- ა) პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლების და შეფასების განმახორციელებელი დანიშნულ პერსონალთან დაკავშირებული:
 - ა.ა) კომპეტენციის აღწერა;
 - ა.ბ) უფლება-მოვალეობები;
 - ა.გ) ორგანიზაციის სტრუქტურა და უფლება-მოვალეობები;
- ბ) პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლების და შეფასებისას გამოყენებული პროცედურები და პროცესები, მათ შორის სწავლების პროგრამა, რომელიც მოიცავს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ამ წესის მე-9 მუხლის შესაბამისად;
- გ) პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლების და შეფასებისას გამოყენებული უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის და სხვა ნებისმიერი აღჭურვილობის აღწერა;
- დ) პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლების და შეფასებისას გამოყენებული შენობა-ნაგებობების და ადგილმდებარეობის აღწერა;
- ე) შეფასების ანგარიშის ფორმა.

<p>STS02</p> <p>უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატანტის დეკლარაცია დისტანციური პილოტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლების და შეფასების განხორციელებასთან დაკავშირებით STS02 შესაბამისად</p>			
<p>მონაცემების დაცვა: წინამდებარე დეკლარაციაში მოცემული პერსონალური მონაცემები მუშავდება სააგენტოს მიერ „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.</p>			
<p>უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატანტის რეგისტრაციის ნომერი</p>			
<p>უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატანტის დასახელება</p>			
<p>მე ვაცხადებ, რომ:</p> <ul style="list-style-type: none"> - ვაკმაყოფილებ ამ წესის N3 დანართის ყველა მოთხოვნას; - სტანდარტულ სცენარ STS02 სასწავლო მიზნებისთვის უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატაციისას მე ვასრულებ ამ წესის ყველა შესაბამის მოთხოვნას, მათ შორის სტანდარტულ სცენარ STS02 განსაზღვრულ საექსპლუატაციო მოთხოვნებს. 			
თარიღი		ხელმოწერა ან სხვა ვერიფიკაცია	

ექსპლუატაციის სახელმძღვანელო

ექსპლუატაციის სახელმძღვანელო უნდა მოიცავდეს სულ მცირე შემდეგს:

1. სახელმძღვანელოს სტრუქტურას, რომელიც მოიცავს სატიტულო გვერდს, სარჩევს, მოქმედი გვერდების სიას, რევიზიების ჩანაწერებს, შესაბამისობის დეკლარირებას;
2. ექსპლუატანტის უფლებამოსილი პირის ხელმოწერას;
3. უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატანტის ორგანიზაციის აღწერას;
4. ექსპლუატაციის სახეობის აღწერას, მათ შორის სულ მცირე შემდეგს:

ა) უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატაციისას განხორციელებული ქმედებების აღწერას და ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ რისკებს;

ბ) დასახული ექსპლუატაციის საექსპლუატაციო გარემოს და გეოგრაფიულ არეს, მათ შორის:

ბ.ა) საექსპლუატაციო არის მახასიათებლები, როგორცაა დასახლების სიმჭიდროვე, ტოპოგრაფია, დაბრკოლებები და ა.შ.;

ბ.ბ) საექსპლუატაციო საჰაერო სივრცის მახასიათებლები;

ბ.გ) დასაშვები საექსპლუატაციო გარემო პირობები (მაგ. ამინდი და ელექტრომაგნიტური გარემო);

ბ.დ) საექსპლუატაციო სივრცის და რისკის ბუფერების განსაზღვრა სახმელეთო და საჰაერო რისკების გათვალისწინებით.

ბ.ე) ტექნიკური საშუალებები, მათი მახასიათებლები, შეზღუდვები და ძირითადი აღწერა, მათ შორის უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემა, ექსპლუატაციის მხარდამჭერი გარე სისტემები, შენობა ნაგებობები და ა.შ.;

ბ.ვ) ექსპლუატაციის განსახორციელებლად საჭირო პერსონალი, მათ შორის საექსპლუატაციო ჯგუფის შემადგენლობა, მათი ფუნქცია-მოვალეობები, აღნიშნული პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები, პირველადი სწავლება, გამოცდილება და განმეორებითი სწავლება.

5. ტექნომსახურეობის ინსტრუქციებს, რომელიც საჭიროა უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის უსაფრთხო მდგომარეობაში შესანარჩუნებლად, რომელიც ასევე საჭიროებისას მოიცავს უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის მწარმოებლის ტექნომსახურეობის ინსტრუქციებს და მოთხოვნებს;

6. საექსპლუატაციო პროცედურებს რომელიც უნდა ეფუძნებოდეს უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის მწარმოებლის მომხმარებლის სახელმძღვანელოს და უნდა მოიცავდეს:

ა) ადამიანის შეცდომის რისკის შემცირების მიზნით შემდეგ საკითხებს:

ა.ა) ამოცანების მკაფიო განაწილებას და მათ შესრულებაზე პასუხისმგებლობას;

ა.ბ) საკონტროლო ბარათს, რომლის მეშვეობითაც უნდა განხორციელდეს პერსონალზე დაკისრებული ამოცანების შესრულების ადეკვატურობის შემოწმება.

ბ) უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატაციის მხარდამჭერი გარე სისტემების მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში გასათვალისწინებელ საკითხებს;

გ) სტანდარტულ პროცედურებს, მათ შორის სულ მცირე:

გ.ა) გაფრენისწინა მომზადებას და საკონტროლო ბარათებს, რომელიც მოიცავს:

გ.ა.ა) საექსპლუატაციო სივრცის და შესაბამისი ბუფერების (სახმელეთო რისკის ბუფერი, საჰაერო რისკის ბუფერი, სადაც ეს გამოიყენება) შეფასებას, მათ შორის იმ რელიეფის და პოტენციური დაბრკოლებების შეფასებას, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს უპილოტო საჰაერო ხომალდის ვიზუალური მხედველობის არეში შენარჩუნების შესაძლებლობაზე ან საჰაერო სივრცის დაკვირვებაზე, არა მონაწილე პირებისა და სახელმწიფო მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის თავზე შესაძლო გადაფრენაზე;

გ.ა.ბ) მოსაზღვრე გარემოს და საჰაერო სივრცის შეფასებას, მათ შორის უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატაციის გეოგრაფიული ზონ(ებ)ის სიახლოვის და საჰაერო სივრცის სხვა მომხმარებლების პოტენციური საქმიანობის შეფასებას;

გ.ა.გ) უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატაციის განსახორციელებლად შესაფერის გარემო პირობებს;

გ.ა.დ) პერსონალის იმ მინიმალურ რაოდენობას, რომლებიც ასრულებენ უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატაციისთვის აუცილებელ მოვალეობებს და რომელთაც ევალებათ ექსპლუატაციის განხორციელება და ასევე მათ პასუხისმგებლობებს;

გ.ა.ე) საჭირო საკომუნიკაციო პროცედურებს დისტანციურ პილოტ(ებ)სა და სხვა ნებისმიერ პერსონალს შორის, რომლებიც ასრულებენ უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატაციისთვის აუცილებელ მოვალეობებს და ასევე სხვა ნებისმიერ მესამე პირს შორის საჭიროების შემთხვევაში;

გ.ა.ვ) საექსპლუატაციო არესთან მიმართებაში დადგენილი მოთხოვნებს, მათ შორის ისეთ მოთხოვნებს, რომლებიც უკავშირდება უშიშროებას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, მონაცემთა და გარემოს დაცვას და ასევე რადიოსიხშირული სპექტრის გამოყენებას;

გ.ა.ზ) რისკების პრევენციულ ზომებს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ექსპლუატაციის უსაფრთხოდ განხორციელება; კონტროლირებად მიწისზედა არესთან მიმართებაში:

გ.ა.ზ.ა) კონტროლირებადი მიწისზედა არის განსაზღვრა;

გ.ა.ზ.ბ) კონტროლირებადი მიწისზედა არის დაცვა ექსპლუატაციისას გარეშე პირების აღნიშნულ არეში შესვლის თავიდან აცილების მიზნით და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ორგანოებთან კოორდინაციის უზრუნველყოფა.

გ.ა.თ) პროცედურებს, უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის მდგომარეობის შესაბამისობის შესამოწმებლად დასახული ექსპლუატაციის უსაფრთხოდ განხორციელების მიზნით.

გ.ბ) ფრენის დაწყების და დასრულების პროცედურებს;

გ.დ) საფრენოსნო პროცედურებს, მათ შორის უპილოტო საჰაერო ხომალდის ფრენის გეოგრაფიის ფარგლებში შენარჩუნების უზრუნველყოფის მიზნით;

გ.ე) ფრენის შემდგომ პროცედურებს, მათ შორის უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის მდგომარეობის დადგენის შემოწმებებს;

გ.ვ) დისტანციური პილოტის მიერ და საჭიროების შემთხვევაში უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატანტის მიერ, ვიზუალური დამკვირვებელ(ებ)ის მიერ, უპილოტო საჰაერო ხომალდის დამკვირვებელ(ებ)ის მიერ საჰაერო ხომალდთან სახიფათო მიახლოებების აღმოჩენის პროცედურები, აღნიშნული პერსონალის გამოყენების საჭიროებიდან გამომდინარე;

დ) საგანგებო პროცედურებს, მათ შორის სულ მცირე:

დ.ა) პროცედურებს, უპილოტო საჰაერო ხომალდის მართვის მიზნით დადგენილი ფრენის გეოგრაფიის ფარგლების დატოვებისას;

დ.ბ) პროცედურებს, არამონაწილე პირების მართვის მიზნით კონტროლირებად მიწისზედა არეში შესვლისას;

დ.გ) პროცედურებს, არასასურველ საექსპლუატაციო პირობებთან გამკლავების მიზნით;

დ.დ) პროცედურებს, ექსპლუატაციის მხარდამჭერი გარე სისტემების მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში გამოყენების მიზნით;

დ.ვ) ფრაზეოლოგიას იმ შემთხვევაში თუ ვიზუალური დამკვირვებელ(ებ)ი დასაქმებულია ექსპლუატანტის მიერ;

დ.ზ) საჰაერო შეჯახების თავის არიდების პროცედურებს, საჰაერო სივრცის სხვა მომხმარებლებთან ნებისმიერი კონფლიქტის არიდების მიზნით.

ე) ავარიულ ვითარებაში მოქმედების პროცედურებს, ავარიულ სიტუაციებთან გამკლავების მიზნით, რომელიც უნდა მოიცავდეს სულ მცირე :

ე.ა) ხმელეთის ზედაპირზე და ჰაერში მესამე პირების დაზიანების თავიდან არიდების ან სულ მცირე დაზიანების მინიმალიზაციის მიზნით;

ე.ბ) უპილოტო საჰაერო ხომალდის მართვას, საექსპლუატაციო სივრცის ფარგლების დატოვებისას;

ე.გ) უპილოტო საჰაერო ხომალდის ფრენის ავარიულ დასრულებას.

ვ) პროცედურებს, რათა განზრახული ექსპლუატაციისას უზრუნველყოფილ იქნეს ექსპლუატაციის რაიონის მამართ დადგენილი მოთხოვნების დაცვა, რაც შესაძლოა მოიცავდეს საავიაციო უშიშროების საკითხებს;

ზ) უპილოტო საჰაერო ხომალდზე მართლსაწინააღმდეგო ქმედების და არა სანქციონირებული წვდომისგან დაცვის ზომებს;

თ) პროცედურებს, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილი იქნება ყველა სახის ექსპლუატაციის განხორციელებისას ფიზიკური პირების დაცვა მათი პირადი მონაცემების დამუშავების და ამ მონაცემების თავისუფალი გავრცელებისგან „საქართველოს კანონი პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ შესაბამისად;

ი) ინსტრუქციებს, უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატაციის დაგეგმვის მიზით, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ექსპლუატაციის უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა მათ შორის ხმაურის და სხვა დამაბინძურებელი ფაქტორების, რომელიც ზეგავლენას ახდენს ადამიანებსა და გარემოზე.

კ) მოვლენების შეტყობინების პროცედურებს;

ლ) ჩანაწერების შენახვის პროცედურებს;

მ) პოლიტიკას, რომელიც განსაზღვრავს დისტანციური პილოტ(ებ)ის მიერ და სხვა ნებისმიერი პერსონალის მიერ, რომლებიც ასრულებენ უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატაციისთვის აუცილებელ მოვალეობებს ექსპლუატაციის დაწყებამდე ექსპლუატაციის განსახორციელებლად დამაკმაყოფილებელი მდგომარეობის დეკლარირების მეთოდს.

სრული შესაბამისობის დეკლარაცია

1. უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემა (ტიპი, პარტია და სერიული ნომერი);
2. მწარმოებელი და მისამართი;
3. განცხადება: შესაბამისობის ეს დეკლარაცია გამოიცემა მწარმოებლის სრული პასუხისმგებლობის ქვეშ;
4. დეკლარაციის ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემები
5. დეკლარაციის ობიექტის კლასი;
6. (UAS) მოწყობილობის ხმაურის სიმძლავრის დონე;
7. დეკლარაციის ობიექტის კანონმდებლობასთან შესაბამისობა;
8. გამოყენებული სტანდარტები ან ტექნიკური სპეციფიკაციები;
9. შესაბამისობის შემფასებელი ორგანო და შესაბამისობის სერტიფიკატი;
10. აქსესუარები და კომპონენტები, მათ შორის პროგრამული უზრუნველყოფა
11. დამატებითი ინფორმაცია:
უფლებამოსილი ხელმოწერი პირი
[დეკლარირების თარიღი და ადგილი]:
[სახელი, თანამდებობა] [ხელმოწერა]:

გამარტივებული შესაბამისობის დეკლარაცია

1. მწარმოებლის განცხადება [სააგენტოს დირექტორის მიერ დამტკიცებული „უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემების ექსპლუატაციის წესის“ 52-ე - 56-ე მუხლებით. ან “COMMISSION DELEGATED REGULATION (EU) 2019/945 of 12 March 2019 on unmanned aircraft systems and on third-country operators of unmanned aircraft systems”] კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისობასთან დაკავშირებით;
2. სხვა კანონმდებლობის შესაბამისობასთან დაკავშირებით [ჩამოთვალეთ ყველა ის რეგულაცია, რომელსაც პროდუქტი აკმაყოფილებს];
3. სრული შესაბამისობის დეკლარაციის ვებ-გვერდის მისამართი.